# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 2 ივლისი 1996 № 64 (289) ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა


ზურაბ მეძველია

ლონდონიდან




# შეცარი სიკვდილის 40 წამი



ოლივერ ბირჰოფი 27 წუთში გერმანელთა ეროვნულ გმირად იქცა და ინგლისის დედოფლის მოწყალებაც დაიმსახურა

REUTER

ისტორია მეორდებაო, ნათქვამია. კვირას „უემბლიზე“ კინაღამ განმეორდა 30 წლის წინანდელი ამბავი, როცა გერმანელთა ბედი თანამსაჯმა გადაწყვიტა. მაგრამ ამჯერად კანცლერის ბიჭების მეტოქენი მის გვერდით მჯდომი დედოფლის ქვეშევრდომები როდი იყვნენ. თანაც ამჯერად შვეიცარიელის და აზერბაიჯანელის გადასაწყვეტი არ იყო სადავო საკითხი: პიერლუიჯი პაირეტომ წყნარად მოუსმინა თანამემამულეს, თავი და ხელი გააქნია — არა აქვს მაგას გადამწყვეტი მნიშვნელობაო და გერმანელები აწ უკვე საბოლოოდ გაახარა.

– თამაშის წინ ვიფიქრე, მსაჯი საფინალოს რომ ჩასტვენს, ბურთს მივაქცევ ყურადღებას — ემანდ 1966 წლის ფინალის ბურთივით არ დაიკარგოს და მხოლოდ სამი ათეული წლის მერე რომ გამოჩნდა, ასე აღარ დაემართოს-მეთქი. მაგრამ შეგორდა ბურთი კოუბას კარში. ტანთ გაიხადა ბირჰოფმა. ეტაკნენ თანამემამულენი. დაემხვნენ ჩეხები „უემბლის“ იდეალურ გაზონზე. აგერ, სათადარიგოთა სკამიდან ოცამდე გერმანელი გადახტა მოედანზე და... გახევდა: თანამსაჯს ალამი აღმართული ჰქონდა. ეს იყო გოლის გატანიდან ნახევარი წუთის შემდეგ. რომელიღაც თავჩარგულმა ჩეხმა შემთხვევით აიხედა და... პაირეტოსკენ გაიქცა მთელი ჩეხეთი.

**სათადარიგოთა სკამიდან ოცამდე გერმანელი გადმოხტა მოედანზე და... გახევდა: გვერდით მსაჯს ალამი აღმართული ჰქონდა.**

ორი მსაჯის შეხვედრა ხუთიოდ წამში შედგა. ფოგთსი და მისი თანაშემწენი თუ ექიმები შიშით შესცქეროდნენ ამ საუბარს. ახლოს მისვლა მხოლოდ ზამერმა გაბედა. სწორედ მისი აღმართული ხელები გახდა ნიშანი და გერმანელთა ბანაკი შორეულ კუთხეში მყოფი ბიჭებისკენ გაიქცა. იქ, ბირჰოფსა და სხვებს, საერთოდ არ გაუგიათ, რომ „ოქროს გოლი“ გატანიდან მხოლოდ 40 წამის მერე დაფიქსირდა ოფიციალურად. ჩეხები? ისინი მიხვდნენ, რომ პაირეტო კი არა, მამალმერთი რომ ჩამოსულიყო „უემბლიზე“, ისიც ველარ ეტყოდა გერმანელებს — ხომ გაიხარეთ, აბა ახლა ზედმეტებმა მოედანი დატოვეთ: კუნცი პასიურ თამაშგარეში ყოფილა და ეგ თქვენი გოლი აღარ ითვლებაო.

კუნცის შესახებ ვერსია „უემბლის“ პრესცენტრში გამოითქვა, თორემ დღესაც არ უთქვამს იტალიელ თანამსაჯს, თუ რატომ ანერვიულა გერმანელები. ისე, კარგად გაიხუმრა ფოგთსმა — ალბათ იმიტომ დაუძახა გვერდითმა პაირეტოს, უნდა ეთქვა — ზამერმა გარეთ წააქცია პობორსკი და პენალტი ტყუილად დავნიშნეთო. სიტყვამ ეს პენალტი მოიტანა:

**ახლოს მისვლა მხოლოდ ზამერმა გაბედა. სწორედ მისი აღმართული ხელები გახდა ნიშანი და გერმანელთა ბანაკი შორეულ კუთხეში მყოფი ბიჭებისკენ გაიქცა**

თამაშის მერე შინ გვიან დაბრუნებულმა ხელმეორედ, ამჯერად უკვე ტელევიზიით ვუყურე ფინალურ მატჩს და მივხვდი, რომ ზემოთქმული, იტალიელ მსაჯთა „თათბირის“ ისტორია მთელი მსოფლიოს ტელემაყურებელთათვის განზე დარჩა. მაგრამ აი პენალტი რომ უსამართლოდ დაინიშნა, ეს „უემბლიზე“ მყოფთაგან განსხვავებით ტელევიზორთან მჯდარმა მაყურებელმა იმთავითვე ზუსტად იცოდა. საცოდავი ზამერი შემდგომში მომოენტს არ უშვებდა ხელიდან, მსაჯთან არ მიერბინა და მტკიცება არ დაეწყო, პობორესკი საჯარიმოში შესული არ იყო, რომ წავაქციეო. მარტო მსაჯი? ზამერს თავის უდანაშაულობის დამტკიცება ყველასთან სურდა. ამიტომაც იყო, როცა ბირჰოფმა ანგარიში გაათანაბრა და მთელი გუნდი აღმოსავლეთ ტრიბუნასთან ზეიმობდა, ზამერმა სათადარიგოებთან მოირბინა და ხელს იქნევდა, მოდითო. ცუდად გაუგეს და წყალი გადაუგდეს. არა, ფოგთსი მივიდესო — დაიღრიალა ზამერმა. მწვრთნელიც მივიდა და... იქვე ყოფნა არ იყო საჭირო, რომ გაგვეგო, რას ეუბნებოდა ფეხბურთელი მწვრთნელს. პენალტი არ იყო და სამართალმა პური ჭამაო — ასე აღვიქვი იმ ადგილიდან ოციოდ მეტრში მყოფმა. მართალიც აღმოვჩნდი – მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ფოგთსმა თქვა: მაშინ მივხვდი, რომ მოვიგებდით, როცა ზამერმა ჩემთან მოირბინა და მითხრა, გარეთ წავაქციე, მაგრამ არაფერი, მაინც გავიმარჯვებთო.

**იტალიელ მსაჯთა „თათბირის“ ისტორია მთელი მსოფლიოს ტელემაყურებელთათვის განზე დარჩა**

– ორშაბათს „თაიმზის“ პირველ გვერდზე ასეთი კარიკატურაა: კაცი შინ ტელევიზორთან ზის. ფინალი დამთავრდა. კაცი იძახის: დამთავრდა ჩემპიონატი, ძვირფასო! ახლა რა ვქნათ? ძვირფასო! ძვირფასო!..

ცხადია, ცოლი კარგა ხნის წასულია სახლიდან.

მართალაც ასეა. ვინც გაუძლო და მეორე ნახევარი (ტაიმი არა, ქმარი მყავს მხედველობაში) არ მიატოვა, შეუძლია შვებით ამოისუნთქოს. მითუმეტეს, გერმანელ ფეხბურთელთა ცოლებმა თუ გელფრენდებმა. ესენი ფინალურ მატჩზე ჩვენს წინ ისხდნენ. სტადიონზე ლამის პირველნი მოვიდნენ და ბოლოებმა კი დატოვეს. ერთი მათგანი ტირილს ვერ იკავებდა. ალბათ, ბირჰოფის ქალი იყო.

**იქვე ყოფნა არ იყო საჭირო, რომ გაგვეგო, რას ეუბნებოდა ზამერი მწვრთნელს. პენალტი არ იყოო — ასე აღვიქვი იმ ადგილიდან ოციოდ მეტრში მყოფმა**

# კვირის ვნებანი

## გერმანიაში

ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლმა“ კვირის საღამო მთელს გერმანიაში დღესასწაულად აქცია. ზეიმს უფრო მეტი ელფერი მაშინ მიეცა, როცა გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ფინალის შემდეგ განაცხადა: „ჩვენებმა მებრძოლი სული გამოავლინეს და გუნდური სულისკვეთებითაც ითამაშეს. ისინი ვირტუოზები არიან“.

გახარებული გულშემატკივრები მთელს გერმანიას მოედვნენ. დაახლოებით 4 ათასი კაცი მოგროვდა კურფიურსტენდამზე, ბერლინის მთავარ ქუჩაზე. ბონში სახეზე დროშადახატულმა ასობით ფანმა ქუჩები გადაკეტეს, მაშხალებს ისროდნენ და ყველაფერი დამთავრდაო, ყვიროდნენ.

ფრანკფურტი გერმანიის ფინანსურ-ეკონომიკური დედაქალაქი კი არის, მაგრამ კვირა საღამოს ბირჟები და წილები ალარავის უნდოდა. ფეხბურთმა ყველას ყველაფერი გადაავიწყა — მთავარ ქუჩებზე გიგანტური ეკრანები იყო დადგმული. ფინალის დამთავრებისთანავე, იქაურობა შამპანურით მოირწყა. ზეიმობდნენ ისინიც, ვინც, „ნორმალურ სიტუაციაში“, ფეხბურთის მოყვარულები არ არიან.

მიუნხენში კი ათასობით გულშემატკივარი შეიკრიბა ტრიუმფალურ თაღთან და დიდ ღრეობას მისცა თავი.

## ჩეხეთში

პრაღის ძველი ქალაქის მოედანს მრავალი რამ უნახავს თავის ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. კვირა საღამოს კი ერთი პატარა ტრაგედიაც მიითვალა.

მოედანზე 30 ათასი ჩეხი შეკრებილიყო და იმედოვნებდნენ, რომ მათი ნაკრები იგივეს უზამდა გერმანიას, რაც 1976 წელს დამართა. პატრიკ ბერგერის თერთმეტმეტრიანმა ეს იმედი განუმტკიცათ, მაგრამ გამოხტა ბირჰოფი და ყველაფერი არივდარია.

მოსეირეთა უმრავლესობა ხმაამოუღებლივ შეხვდა მარცხს და დამთავრებისთანავე იქაურობას გაეცალა. ზოგიერთმა კი მოედნის ცენტრში აღმართულ იან ჰუსის (სხვათა შორის, შუა საუკუნეების ეკლესიის რეფორმატორი მწვალებლობისთვის სწორედ გერმანიაში დაწვეს კოცონზე) ძეგლს ლუდის კათხები შეალეწა და ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოფანტა.

პრაღის მერს იან კოუკალს წესრიგის დამცველთათვის საგანგებო ბრძანება არ მიუცია. „ამ მოედანს ბევრი გადაუტანია — თქვა მან — ვფიქრობ, ამალამ ფეხბურთსაც გადაურჩება“.



## პეტრ კოუბა „დეპორტივოში“ გადადის

დიდი მარჩიელობა არ სჭირდება — ევროპის ვიცე-ჩემპიონის, ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელებზე დიდი ტაციობა ატყდება. ეს სია გუშინ გახსნა ნაკრების მეკარემ პეტრ კოუბამ. ესპანეთის „დეპორტივო ლა კორუნიას“ უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა პრაღის „სპარტას“ 27 წლის კარის დარაჯის დასაკუთრება სერიოზულად მოიწადინა. პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. მომავალ კვირას კოუბა ესპანეთში ჩავა და კონტრაქტს ხელს მოაწერს. ფინანსურ მხარეზე ჯერ არაფერს იტყობინებიან.

## გუშინ „ტურ დე ფრანსზე“

გაიმართა მეორე ეტაპი, რომელიც ჰოლანდიაში, ჰერცოგენბოსში დაიწყო და ბელგიაში, ვასკეჰალში დასრულდა. მრბოლებმა ექვსი საათი ატრიალეს პედლები. 260 კილომეტრიანი დისტანცია პირველმა დაამთავრა იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ. მეორე იყო ჰოლანდიელი ერონ ბლაილევენსი, მესამე — ჩეხი იან ზვორადა. საერთო ჯამში ლიდერობა შეინარჩუნა შვეიცარიელმა ალექს ცულემ.

## გრაფი მეოთხედფინალშია




გუშინ უიმბლდონში წვიმდა და ამიტომ ბევრი მატჩი სადღეისოდ გადაიდო. ქალთა შარშანდელმა ჩემპიონმა და წელს პირველ ნომრად განთესილმა გერმანელმა შტეფი გრაფმა სტიქიას დაასწრო და მეოთხედფინალშიც გავიდა. შტეფიმ 6:1, 6:4 დაამარცხა 16 წლის ვუნდერკინდი მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 16). გრაფის კვალს მიჰყვა მისი უმთავრესი მეტოქე ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4): მართალია, ბელგიელმა საბინე აპელმანსმა პირველი ხელი მოუგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც არანჩას დარჩა — 3:6, 6:2, 6:1



REUTER

# გოლის რეიტინგი

„გოლის“ რეიტინგში ქულები დაირიცხება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სამ საკლუბო ტურნირში, სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო — თასის გათამაშებაში, „ოქროს ბურთის“ რეფერენდუმში და ახალგაზრდულ ნაკრებთა შეჯიბრებაში (ოც წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი და ოცდაერთწლიანთა ევროპის ჩემპიონატი) ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით.

ქულათა დარიცხვის სისტემა ასეთია: მსოფლიო ჩემპიონატში (მ. ჩ.) გამარჯვებული იღებს 25 ქულას, მეორე-მეოთხე ადგილებზე გასულთ, შესაბამისად, 17, 12 და 10 ქულა ერიცხებათ. ევროპის ჩემპიონობა (ე. ჩ.) შეფასდება 20 ქულად, მეორე ადგილი — 12 ქულად. ჩემპიონთა თასის (ჩ. თ.) მოგება 10 ქულას იძლევა, ფინალში გასვლა — 5 ქულას, ხოლო უეფას თასი (უ. თ.) და თასების თასი (თ. თ.) შესაბამისად — 8 და 4; 6 და 3 ქულას.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (მ. ჩ. ა.) და საკონტინენტთაშორისო თასის (სკ. თ.) გათამაშებაში გამარჯვებულთათვის განკუთვნილია 5-5 ქულა. გარდა ამისა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა იძლევა 2 ქულას. „ოქროს ბურთის“ ლაურეატები, შესაბამისად, 5, 2 და 1 ქულას იღებენ. სუპერთასის მოგებისთვის 3 ქულაა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვება 3 ქულად ფასობს, მეორე ადგილი კი 1 ქულად.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპით „გოლის“ რეიტინგის ჩასათვლელი ქულები აქამდე მხოლოდ 24 ქვეყანას ჰქონდა მიღებული. აქედან სამი: სსრკ, ჩეხოსლოვაკია, გდრ აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ რეიტინგში მათ ადგილი შევუნარჩუნოთ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, უეფა-ში გაერთიანებული ხუთი ათეული ფედერაციიდან კი, ჩვენს რანგ-ლისტში შევიდა — 22. ოცდამეორე ქვეყანა გუშინწინ გაირკვა — ჩეხეთს ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშისთვის 12 ქულა დაერიცხა.

| ქვეყანა | მჩ | ეჩ | ჩთ | თთ | უთ | სკთ | მჩა | ოგ | სპთ | ეჩა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 131 | 20 | 110 | 48 | 88 | 30 | - | 38 | 15 | 10 | 510 |
| გერმანია | 160 | 84 | 65 | 33 | 64 | 5 | 7 | 55-2 | - | 1 | 476 |
| ესპანეთი | 10 | 32 | 105 | 54 | 84 | 10 | 2 | 25 | 6 | 5 | 333 |
| ინგლისი | 35 | - | 90 | 57 | 96 | - | - | 34 | 12 | 6 | 330 |
| ჰოლანდია | 34 | 20 | 70 | 9 | 32 | 15 | - | 48 | 9 | - | 237 |
| საფრანგეთი | 34 | 20 | 30 | 9 | 8 | - | - | 36 | - | 3 | 140 |
| სსრკ | 10 | 56 | - | 21 | - | - | 7 | 15 | 3 | 10 | 122 |
| პორტუგალია | 12 | - | 55 | 9 | 4 | 5 | 10 | 11 | 3 | 1 | 110 |
| იუგოსლავია | 22 | 24 | 15 | - | 16 | 5 | 5 | 5 | - | 4 | 96 |
| ბელგია | 10 | 12 | 5 | 30 | 20 | - | - | - | 9 | - | 86 |
| შვედეთი | 51 | - | 5 | - | 16 | - | - | - | - | 1 | 73 |
| ჩეხოსლოვაკია | 34 | 20 | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | 69 |
| უნგრეთი | 34 | - | - | 6 | 20 | - | - | 7 | - | 1 | 68 |
| შოტლანდია | - | - | 15 | 18 | 4 | - | - | 8 | 1 | - | 46 |
| ავსტრალია | 22 | - | - | 9 | 4 | - | - | 2 | - | - | 37 |
| პოლონეთი | 24 | - | - | 3 | - | - | - | 2 | - | - | 29 |
| დანია | - | 20 | - | - | - | - | - | 9 | - | - | 29 |
| რუმინეთი | - | - | 15 | - | - | - | - | - | 3 | - | 18 |
| ბულგარეთი | 10 | - | - | - | - | - | - | 7 | - | - | 17 |
| გდრ | - | - | - | 12 | - | - | - | - | - | 3 | 15 |
| ჩეხეთი | - | 12 | - | - | - | - | - | - | - | - | 12 |
| საბერძნეთი | - | - | 5 | - | - | - | - | - | - | 1 | 6 |
| ჩრ.ირლანდია | - | - | - | - | - | - | - | 6 | - | - | 6 |
| უელსი | - | - | - | - | - | - | - | 1 | - | - | 1 |
| ფინეთი | - | - | - | - | - | - | - | 1 | - | - | 1 |

## „სარბიელის“ სიმბოლური ნაკრები




### ბომბარდირები

| | | გ | თ | პ |
|---|---|---|---|---|
| ალან შირერი | ინგლისი | 5 | 5 | (1) |
| ბრიან ლაუდრუპი | დანია | 3 | 3 | (-) |
| იურგენ კლინსმანი | გერმანია | 3 | 5 | (1) |
| ხრისტო სტოიჩკოვი | ბულგარეთი | 3 | 3 | (1) |
| დავორ შუკერი | ხორვატია | 3 | 4 | (1) |

სარბიელი
ტოტალიზატორი "CROCO"
ტოტალიზატორი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
ფსონები მიიღება კინოთეატრ „რუსთაველში“ ფერცელაძის ქუჩიდან 13-დან 16 საათამდე

# ჯერ ვაშენებთ და ვსწავლობთ

30 ივნისს, „ზემუნთან“ მატჩის მეორე დღეს, ფოთის სტადიონზე პორტის უფროსი ვალერი გეგიძე ვნახე. მატჩის შედეგის მიუხედავად „კოლხეთის“ პრეზიდენტს იმედგაცრუება ვერ შევნიშნე.

— თქვენს მოსვლამდე სოსო ფილია, ვიცე-პრეზიდენტი თემურ ხოხობაია, ოთარ ხომერიკი და მე გუნდის მომავალზე ვთათბირობდით. რომ დავმარცხდებოდით, წინასწარ ვიცოდით — „კოლხეთს“ ხომ საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არ გააჩნია. ჩვენ ახლა ვსწავლობთ ევროპული საფეხბურთო ცხოვრების წესებს, გუნდის მოწყობის პრინციპებს. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ამ მარცხისგან ბევრი უნდა ვისწავლოთ. გუშინდელმა წაგებამ „პირველი მერცხალი“ გამახსენა — პირველ უცხოურ გუნდთან შეხვედრა, მარცხი, წვიმა, ბოლოს — ჩვენს მიერ გატანილი გოლი. იუგოსლავიელებს ევროპული თამაშების გაცილებით დიდი გამოცდილება აქვთ. ჩვენებს კი ერთგვარი შიში შევნიშნე. ასეთ შიშს მხოლოდ ევროპელი — იუგოსლაველი, იტალიელი, ფრანგი ან გერმანელი მეტოქის წინაშე განიცდიან, ერთბაშად იბნევიან. რუსებთან და ყოფილი სსრკ-ს გუნდებთან კი სხვაგვარი განწყობით ითამაშებდნენ. კიდევ სამი თამაშია წინ, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ადგილზე გავალთ. მთავარი ჩვენთვის დღესდღეობით მონაწილეობაა. „ინტერტოტოზე“ ჩვენი მონაწილეობის შედეგი კი ისაა, რომ დღეს უეფას დელეგატმა ალექსანდრ პონომარიოვმა ფოთის სტადიონი დაათვალიერა და ოფიციალური შეადგინა რომელიც დღესვე გაიგზავნა უეფაში ფაქსით. დასკვნა ასეთია — ფოთის სტადიონი მზად არის საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად.

**— მას შემდეგ, რაც „კოლხეთი“ „ინტერტოტოს“ გათამაშებაზე გავიდა, რა გაკეთდა სტადიონის მოსაწესრიგებლად?**

— მინდორი წესრიგში მოვიყვანეთ. დრენაჟი მოედანს საუკეთესო აქვს — 24 საათი რომ იწვიმოს, „სარბიელშიც“ მაინც არ დაიტბორება. გარემონტდა სკამები. დაიდგა ფაქსი, ქსეროქსი, ტელეფონი. სანიტარული მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. ფეხბურთელები გასახდელებშიც კარგად იგრძნობენ თავს. ახლა ავეჯსაც შემოვიტანთ. პრესლოჟაც ისეთი იქნება, ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს რომ შეუწყობს.

მალე სტადიონთან მისასვლელი გზებიც გარემონტდება და ვფიქრობ, „ფაზისი“ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი იქნება.

**— სოსო ფილიამ ბრძანა, თუ ფინანსები ხელს შეგვიწყობს, ჩემპიონატის დაწყებამდე შემადგენლობაში აუცილებლად შევიტანთ ცვლილებებსო. ეს კი თქვენზე და ქალაქის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული...**

— ჩემი ოცნებაა, „კოლხეთში“ მაქსიმალურად იყვნენ ფოთელი ფეხბურთელები. კარგად იცით, ფოთს ფეხბურთელების აღზრდის დიდი ტრადიცია გააჩნია. ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის, ერთი დიდი საწარმოა და მომგებიანი. რასაკვირველია, ყველა გუნდი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ძლიერი ფეხბურთელი მიიზიდოს. ჩვენც ასევე ვფიქრობთ. არა აქვს მნიშვნელობა, ფეხბურთელი თბილისელი იქნება თუ, ვთქვათ, რუსთაველი. მთავარია, გუნდი შეკრული იყოს და კარგადაც ითამაშოს. ეს კი სოსო ფილიას ამოცანაა, მე სულ არ მეხება, ვინ მოვიწვიო გუნდში. ფინანსურ საკითხებს კი პორტი მერიის დახმარებით შეძლებისდაგვარად მოაგვარებს.

ჩემი აზრით, ფეხბურთის მართვა ოთხი ბერკეტით ხდება: მაყურებელი, სპონსორი, რეკლამა და კლუბის ბიზნესი, მეოთხე ბერკეტი კი ქალაქის, ქვეყნისა და ფედერაციის დახმარებაა. რომ გაძლიერდება, გუნდი თვითონ შეძლებს სხვათა დახმარებას. თუ ეს ოთხი ბერკეტი არ იმუშავებს, „კოლხეთში“ და სხვა ნებისმიერ გუნდში, არაფერი გამოვა.

**— გუნდის ფეხზე დასაყენებლად, კარგად მოგეხსენებათ, საჭიროა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტადიონი რომ რემონტდება, ჩვენი თვალით ვნახეთ. რაც შეეხება გუნდის ბაზას — ამ მხრივ როგორღაა საქმე? ფაქტია, რომ თბილისის „დინამოს“ გარდა საქართველოს სხვა არცერთ გუნდს არა თუ ნორმალური, საერთოდ, ბაზა არც გააჩნია...**

— ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოს „დინამოზე“ უკეთესი გუნდი ჰყავდეს. ჩვენი გაძლიერება ისევ თბილისელების გაძლიერება იქნება, „დინამოს“ მხარში უნდა ამოვუდგეთ, რომ მან ღირსეულად ზიდოს ქართული ფეხბურთის ჭაპანი. ქართული ფეხბურთის ფლაგმანი მუდამ „დინამო“ უნდა იყოს.

არ უნდა ბევრი მტკიცება, რომ სუსტი გუნდები თავად თბილისის „დინამოს“ უწევენ დათვურ სამსახურს. ქართული გუნდების გაძლიერება ისევ „დინამოს“ წაადგება — რაც უფრო მეტად შეეჩვევიან ფეხბურთელები შიდა ჩემპიონატზე მძაფრ ბრძოლას, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისთვის. მაგალითად ესპანეთიც იკმარებს. „რეალისა“ და „ბარსელონას“ ტრადიციული ქიშპი ისევ ესპანური ფეხბურთის დონესა და გუნდებს აჩნდება. სასიკეთოდ, მაგრამ „რეალი“ მაინც ფლაგმანია. მე არ ვამბობ, „დინამო“ სულ პირველ ადგილზე უნდა იყოსმეთქი, მაგრამ თუ სადმე ძლიერი ფეხბურთელი გამოჩნდება, სასურველიც კია, თუ „დინამოში“ გადავა. შეიძლება გუნდს დროებითი ჩავარდნებიც ჰქონდეს, მაგრამ, ვიმეორებ, ქვეყანას უპირველესად დედაქალაქის გუნდი უნდა წარმოაჩენდეს.

**— რახან შევკითხვა ბაზას ეხებოდა, მოდით, ისევ ამაზე საუბარს დავუბრუნდეთ...**

— „სარბიელშიც“ ეწერა რომ ამჟამად ფოთის ახალი სტადიონის დაპროექტება მიმდინარეობს. სტადიონის მშენებლობა მაქსიმუმ ორ წელიწადში დაიწყება. თუმცა გუნდის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კოლხეთს“ უპირველესად კარგი ბაზა ესაჭიროება. მალთაყვაში შეგულებული გვაქვს სასტუმრო და ტერიტორია, სადაც ორი მოედნის გაკეთებას ვაპირებთ. ალბათ, ასე ერთ წელიწადში შევძლებთ იქ ნორმალური ბაზის აშენებას.

ამასწინათ ტელევიზიით „ალანიას“ ბაზა აჩვენეს. ვფიქრობ, ამაზე ნაკლებს არც ჩვენ ავაშენებთ. მაგრამ ამ საქმეს მარტო პორტი თავს ვერ მოაბამს, ამაში ქალაქის მერია და პირადად ფოთის მერი ნუგზარ ნადარაია უნდა დაგვეხმარონ.

ხალხი ამბობს, გეგიძეს ძველ მერთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, ახალთან კი-პირიქითო. შეიძლება, ჩემს ნათქვამს კუდიც გამოაბან, მერს ეპირფერებაო, მაგრამ იგი მართლაცაა დაინტერესებული გუნდის გაძლიერებით.

**— თქვენ ბრძანეთ, ფეხბურთი დიდი შემოსავლების წყაროაო. ამის თქმას კი რატომღაც ბევრი ერიდება.**

— რამდენიმე წელიწადში თავად ნახავთ, როგორ დაეხმარება, ფეხბურთი სახელმწიფოს. ჯერ ერთი, იმით, რომ ჯანსაღ და ლამაზ ადამიანს აღზრდის. შემოსავლებიდანაც ყოველგვარი შეღავათების გარეშე გადაიხდის გადასახადს. რომელი საწარმო იქნება უფრო შემოსავლიანი, ვიდრე საფეხბურთო ბიზნესი?

ფეხბურთი რომ ბიზნესია, ამის მაგალითად შაბათის შეხვედრაც გამოდგება. ხომ შეიძლებოდა, სტადიონზე უბრალო საწვიმარი ლაბადები გაეყიდათ? ასეთ წვიმაში არავის დაენანება ლაბადის შეძენა 1-2 ლარად. ასეთ ნიუანსებით იქმნება საფეხბურთო ბიზნესი, ცხოვრება ამას თვითონ გვკარნახობს. სიტყვამ მოიტანა და, ვერ ვიტყვი, რომ ფოთის სტადიონი უახლოეს ხანებში გადაიხურება, მაგრამ სავსებით რეალურია რომ ტრიბუნებზე მარტივი კონსტრუქციების გადასახური დამონტაჟდეს, ისეთი, როგორც ბათუმის კორტებზეა.

მერაბ მამულაშვილი

იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ცნობილ ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი
(CROWN ORGAN).
ფასი 3 500 დოლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ:
39-48-29; 93-16-08

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
მაღაზია კომპუსი
93-91-03
37-12-96

## ინტერტოტოს თასი

### I ჯგუფი

შტუტგარტი — ოლბორგი 0:1
ჰაპოელი — კლიფტონვილი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| სტანდარდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჰაპოელი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:6 | 1 |
| კლიფტონვილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### II ჯგუფი

დიურგარდენსი — აპოლონი 8:0
ტოფტირი — ლასკი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლასკი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დიურგარდენსი | 2 | 1 | 0 | 1 | 8:2 | 3 |
| ვერდერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტოფტირი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| აპოლონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |

### III ჯგუფი

კოპენჰაგენი — ერებრუ 2:2
კეფლავიკი — ბრანიკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ერებრუ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| კეფლავიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კოპენჰაგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| აუსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### IV ჯგუფი

ქონვი — შარლერუა 0:0
სილკებორგი — ზაგლებიე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ზაგლებიე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ქონვი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შარლერუა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| რიედი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### V ჯგუფი

ნანტი — კაუნასი 3:1
ლილესტრიომი — სლაიგო 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| ნანტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჰეერენვეენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სლაიგო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| კაუნასი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

### VI ჯგუფი

ლუცერნი — ჰაპოელი 2:0
სეგესტა — ერგერტე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერგერტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| რენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლუცერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სეგესტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰაპოელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### VII ჯგუფი

ანთალიასფორი — ბაზელი 2:5
შახტიორი — ატაკა-აურა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:4 | 4 |
| როტორი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ატაკა-აურა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| შახტიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ანთალიასფორი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |

### VIII ჯგუფი

კაუჩუკი — კამაზი 1:2
ლკს — ვარნა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამაზი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვარნა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლკს | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| კაუჩუკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მიუნხენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### IX ჯგუფი

კარლსრუე — უნივერსიტატია 1:0
დაუგავა — ტრნავა 0:6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრნავა | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| უნივერსიტატია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| კარლსრუე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ჩუკარიჩკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| დაუგავა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

### X ჯგუფი

ნარვა — გრონინგენი 1:4
გაზიანთეფსფორი — ვაშაში 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ვაშაში | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| გაზიანთეფსფორი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ლიერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ნარვა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

### XI ჯგუფი

სტრასბური — ქოჯაელისფორი 1:1
ცსკა — ჰიბერნიანსი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ურალმაში | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტრასბური | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ქოჯაელისფორი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ჰიბერნიანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### XII ჯგუფი

კოლხეთი — ზემუნი 2:3
დინამო — იარო 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზემუნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| იარო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| გინგამი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |


2 ივლისი, 1996

# თურმე ასეთია ცხოვრება

დაახლოებით ერთი თვის წინ, სახელოვანი სლავა მეტრეველის საიუბილეო საღამოზე შეკრებილი საზოგადოება სიამაყით იგონებდა ბატონ სლავას საფეხბურთო ცხოვრებას და ნანობდა, ახლა, როცა ფეხბურთელს ასე უჭირს, გვერდში მდგომი თითქმის აღარა ჰყავსო...

იმავე დღეს, სახლში დაბრუნებულს, ეზოში უკვე ჩემი თაობის, საბჭოთა კავშირის ბოლო ჩემპიონატებში ჩვენი „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე შემხვდა. სწორად გამიგეთ, სახელს და გვარს ამ ფეხბურთელისას რომ არ გიხსენებთ:

— ძალიან გთხოვ, ნუ მომატყუებ... მე ხომ ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი... მე ხომ დიდი ფეხბურთი უნდა მეთამაშა... მაგრამ, ხომ ხედავ, ერთი შემეშალა და ყველამ ზურგი შემაქცია... დღეს ალბათ, არავის ვახსოვარ...

ორივე ისტორია რაღაცით თითქოს გაერთიანდა. როგორც ჩანს, ფეხბურთელები გვახსოვს და გვიყვარს მაშინ, როცა ისინი ჩვენთვის თამაშობენ. შემდეგ...

იმ დღიდან ორიოდე კვირის შემდეგ შემთხვევამ ორთაჭალაში მომახვედრა; „სარბიელის" მკითხველს, ალბათ, ეხსომება, ორთაჭალაში შემდგარი შეხვედრა აკელ თემურ ქეცბაიასთან. გეხსომებათ ისიც, რომ მასპინძლები მაშინ ჯიშკარიანები იყვნენ.; სიმართლე გითხრათ, ამდენი ხნის მეგობრების ხილვამ იმ ერთი დღის ორი ამბავი გამახსენა. გამახსენა და გამიხარდა... გამიხარდა ის, რომ ამ ბიჭებს ერთმანეთი კვლავ ძველებურად ახსოვთ და უყვართ, არადა, ბედმა ისინი არა მხოლოდ სხვადასხვა გუნდებში, ქვეყნებში მოახვედრა. ერთ-ერთი მათგანი — გია ჯიშკარიანი გასულ სეზონში ტრავმის გამო ფეხბურთის მიღმაც კი დარჩა. ამ ხნის მანძილზე კი მას ერთგული მეგობრების მხარდაჭერა არ მოჰკლებია.

გამოგიტყდებით, გიაზე წერილის დაწერისგან ადრე თავს ვიკავებდი; ხალხი ისედაც ჭორაობს — ჯიშკარიანია და ჯიშკარიანზე დაწერს, აბა, ვისზეო, მაგრამ... მოკლედ, რაც იქნება, იქნება. ორი დღის წინ გიას საგანგებო, საქმიანი ვიზიტით ვეწვიე და საკმაო ხანსაც ვუსმინე.

### დიდი წრე

— გავა დრო და მოვუყვები შვილებს. არა, შვილებმა ნიკუშამ და სალომემ უკვე იციან. დღევანდელ დღემდე დიდი წრის გაკეთება მომიხდა. საოცარია, მაგრამ იღბალი ყოველთვის გაორებული მქონდა... თან მიმართლებდა, რომ კარგ გუნდებში ვხვდებოდი, თან არ მიმართლებდა... საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 11 ფეხბურთელი აიყვანეს თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში, მე კი დუბლს მიღმა დავრჩი. წავედი მახარაძის „მერცხალში" გუნდი კარგად თამაშობდა, მაგრამ პირველ ლიგაში ვერ გადმოვედით. შემდეგი გაჩერება თბილისის „შევარდენში" მქონდა. აქვე, სახლთან ახლოს. ისე, „შევარდენი" ჩემს სპორტულ ცხოვრებაში ხშირად თავშესაფრის როლს ასრულებდა. აქ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის დროინდელ და მერე უკვე ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატებს თუ გავაერთიანებ, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ვარ... მოკლედ, ამის შემდეგ, როგორც იქნა შემნიშნეს, ალიოშა კოტრიკაძემ „გურიაში" გადამიყვანა. აქ ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში ფომენკომაც დიდი როლი ითამაშა და ყინულიც დაიძრა... ჰო, მართლა, „გურია" იმ დროს სსრკ-ზე უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. თბილისის „დინამოში" კი ზონინმა გადამიყვანა, „დინამოს" იმდროინდელმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ მე „დიანმოში" უნდა მეთამაშა. თბილისელი კაცი თბილისში რომ ჩამოვსულიყავი, ხომ ხედავ, რამხელა წრე გავაკეთე.

... მოკლედ, იღბალი და გია მუდამ თამაშობენ, ხან გია სჯობნის იღბალს, ხანაც — პირიქით...

— დღეს შეიძლება ვინმემ იფიქროს, მა[illegible] უჭირს, საზღვარგარეთ ხომ მაინც ითამაშაო. პოლონეთი ჩემთვის ყველაზე ცუდი პერიოდია. შესაძლოა სწორედ პოლონეთმა იქონია უარყოფითი გავლენა ჩემს შემდგომ კარიერაზე. თავიდან, გეხსომება, ყველაფერი კარგად დაიწყო. პირველი წრის შემდეგ მოსამზადებელ პერიოდში მძიმედ დავშავდი, ველარ ვთამაშობდი. პოლონეთი ნერვების ფასად მიჯდებოდა. ერთად-ერთი ნათელი წერტილი იყო სალომეს, ჩემი მეორე შვილის დაბადება, სხვათა შორის, საკმაოდ კურიოზული: ჩემი მეუღლე დღემდე საკუთარ გვარს — ახობაძეს ატარებს. პოლონეთში, სამშობიაროში ბავშვიც ახობაძედ ჩაწერეს და შემდეგ მთელი ისტორია გადაგვხვდა, რომ სალომე ჯიშკარიანის გვარზე გადაგვეყვანა. და კიდევ ის, რომ მთელი ეს პერიოდი გვერდში გია გურული მედგა.

—ჯიშკარიანებისა და გურულების ოჯახების მეგობრობა და მისვლა-მოსვლა კვლავაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ გურულები, როგორც ჩანს, საფრანგეთში საფუძვლიანად დაბინავდნენ...

— რამდენიმე დღის წინ გიაზე ინფორმაციები შევიგროვე. პირველი შენ ისარგებლე. გიამ 2 წლით გააგრძელა კონტრაქტი საფრანგეთის „დუნკერკთან". გუნდს ახლა შესვენება აქვს, თუმცა გია თბილისში მაინც ვერ ჩამოვიდა. მოტოციკლიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. მე კი ვაფრთხილებდი, არ დაჯდე მოტოციკლეტზე-მეთქი, მაგრამ, დამიჯერა...

### სამტრედია, სამტრედია... და ბედი ფეხბურთელისა

— ფეხბურთელის ბედი ასეთია — უყვარხართ, სანამ თამაშობ. ისე, ცხოვრებაა თვითონ ასეთი. გაგიჭირდება? ფეხი თუ არავინ დაგიდო ამ დროს, მადლობა უნდა თქვა. მიმხვედრი მიხვდება...

... მე კი ერთი შემთხვევა გამახსენდა. 26 მაისს, საქართველოს თასის ფინალზე პრეს-ლოჟაში რატომღაც მოხვედრილი ერთი გულშემატკივარი მთელი თამაშის მანძილზე გოგიჩაიშვილით უკმაყოფილო იყო. თამაშის შემდეგ პრიზის მისაღებად მიმავალ კახას მიაძახა, ჩამოხვალ სამტრედიაში და იქ ვილაპარაკოთო...

— „შევარდენში" ვიყავით, როცა გადაწყდა, რომ სამტრედიაში უნდა გადავსულიყავით. მურთაზ ხურცილავა დიდ გუნდს აკეთებსო და მერაბ ნიშნიანიძემ, ჩვენმა და „სამტრედიის" პრეზიდენტის ტარიელ ჩაჩუას მეგობარმა, კლუბის ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წევრმა, შემოგვთავაზა სამტრედიაში გადასვლა. იქ გადასულებს ნორმალურ პირობებს შეგვპირდნენ და პირველ წელს დანაპირებიც შეასრულეს. გუნდიც კარგად თამაშობდა და გულშემატკივარიც კმაყოფილი იყო.; აი, ამის შემდეგ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო — კლუბი საკმაოდ სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა. ცოტა ხანი ვითმინეთ... მაგრამ ბავშვები ხომ არ ვიყავით, შიშველი ენთუზიაზმით გვეთამაშა. არა, თავდაპირველად გუნდის პრესტიჟის, მწვრთნელის, ხალხის ხათრით მაინც ვთამაშობდით. შემდეგ ესეც დაიკარგა. მანქანით თითქმის ყოველ მეორე დღეს წადი-წამოდი ამხელა გზაზე, როგორია. პირველად, გახსოვთ, გუნდიდან გოგიჩაიშვილი წამოვიდა. მის აზრს დარჩენილებიც ვიზიარებდით. უეფაზე თამაშის შემდეგ, როცა გუნდმა ეს სტიმულიც დაკარგა, გუჯაბიძემ, ცომაიამ, ბერაძემ, მე გადავწყვიტეთ გუნდიდან წამოსვლა. დღეს შეიძლება სამტრედიაში ბევრი ჩვენ რაიმეში გვადანაშაულებს, გულშემატკივარი მყავს მხედველობაში, მაგრამ მინდა სწორად გამიგოთ. ჩვენ კლუბის ხელმძღვანელობას მივეცით დრო — თუ ისინი კლუბში შექმნილ პრობლემებს (ძირითადად, ფინანსურს) მოაგვარებდნენ და კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს შეგვისრულებდნენ, ყველა, როგორც ერთი, სამტრედიაში ვბრუნდებოდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სამწუხარო იყო ისიც, რომ საქართველოში არ არსებოდა კანონი, რომელიც ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილ ფეხბურთელთა ინტერესებს გაითვალისწინებდა. ფეხბურთელი რომ ერთი წელი ვერცერთ გუნდში ვერ ითამაშებს, ის უკვე აღარ ვარგა. არადა, სამტრედიიდან ჩვენ იმ დროს წამოვედით, როცა ყოველგვარი განაცხადები შევსებული იყო. ისე, კალათბურთელებს გაუმართლათ. სეზონის მანძილზე გუნდები რომ დაიშალა, არცერთ კალათბურთელი გუნდის გარეშე არ დარჩენილა. მიუხედავად ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გაჭირვების დროს სამტრედიის ფეხბურთელებს გვერდში გვედგა. მადლობა გულშემატკივრებსაც, რომ ასე უყვართ საკუთარი გუნდი. ძალიან მწყდება გული, რომ წელს „სამტრედიამ" ევროტურნირებზე გასვლა ვერ მოახერხა...

... „სამტრედიაზე" გუნდის ექს-კაპიტანი დიდხანს საუბრობდა. ბევრ საინტერესოს და მნიშვნელოვანსაც მოჰყვა; თუმცა მთხოვა, ყველაფერი უკვე წარსულია და, მოდი, ნუღარ მივუბრუნდებითო... კი, ბატონო, ასე იყოს, მაგრამ საქართველოში ახალი საფეხბურთო სეზონიდან ახალი გუნდის ხილვა მოგვიწევს. მურთაზ ხურცილავამ ახლა ზუგდიდში გადაწყვიტა საკუთარი ხელწერის მქონე გუნდის ჩამოყალიბება. ამბობენ, თუ სამეგრელოში ვინმე ძლიერ ფეხბურთელს გაუჭაჭანებია, ყველა იქ არისო...

— ამ გუნდის პერსპექტივაზე ძნელია ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ითამაშებენ, კარგადაც, მაგრამ მთავარია, არ დაემართოთ ის, რაც „სამტრედიას", თორემ ენთუზიაზმიც ქრება და ყოველივე მატერიალურისკენ მიდის. ისე, ალალად გეტყვი, ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, ისეთ სპორტულად ქენიან ადამიანებს, როგორებიც მურთაზ ხურცილავა და რეზო ძოძუაშვილი არიან, ჩემპიონატში დადებითი მუხტი შეაქვთ და ინტერესს აძლევენ. ესენი ის მწვრთნელები არიან, რომლებიც ქართულ ფეხბურთს მსახურობენ.

### შესვენება

— სამტრედიიდან წამოსულმა გიამ, თამაში რომ ვერსად გააგრძელა, გადაწყვიტა, ჯერ კიდევ პოლონეთიდან აყოლილი ტრავმა მოერჩინა. მართლაც, ექვსი თვის წინ კოჭის სახსრის ოპერცია გაიკეთა. დღეს კი უკვე ვარჯიშიც დაიწყო...

— ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკებია, კონკრეტული წინადადება არცერთი გუნდიდან არ მიმიღია, ისე, სანამ თვითონ არ ჩავთვლი, რომ ფორმაში ვარ, მანამდე თამაშს არ გავაგრძელებ... ათასი აზრი ირევა თავში, ვაიდა, აღარ გამომივიდეს, მაშინ...

მაია ახობაძე-ჯიშკარიანი — მაშინ იმუშავებ პროფესიით, იურისტად და მეტ ყურადღებას მოგვაქცევ ჩვენ... ვერ წარმომიდგინა, რა კარგი ყოფილა, მთელი წელი ქმარი სახლში რომ გყავს. ბაზარშიც ეს დადიოდა. დილით ბავშვები საბავშვო ბაღში მიჰყავდა, შემდეგ ინგლისურზე. მგონი, ინგლისური ამ სიარულში თვითონაც ისწავლა. სხვა საოჯახო საქმეებსაც მიხედა. რაც მთავარია, მთელი წლის მანძილზე ყველა დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოვინახულეთ...

... ვისთან მისვლაც ჯიშკარიანებმა ვერ მოახერხეს, ისინი თავად ეწვივნენ. ვლადიკავკაზის „ალანიას" მეკარემ ზაურ ხაპოვმა კი დაიფიცა, სანამ გია არ იმღერებს, მე თბილისიდან წამსვლელი არა ვარო. არადა, ხაპოვს მთელი „ალანია" ელოდა. გია იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო და საკუთარი ჰიტი „ყვავილების ქვეყანა" შეესრულებინა...

ისევ მაია: და მაინც მოქმედი ფეხბურთელის ცოლობა უფრო იოლი ყოფილა. ძალიან განიცდის რომ ვერ თამაშობს, ხან რას ედება, ხან რას. ბოლოს ისლა გადაწყვიტა, ოპერაციას გავიკეთებო. არაფერს იმჩნევს, თამაშებზე დადის საყურებლად, ვითომც არაფერიაო... მე კი ვამჩნევ, რომ უმოქმედობას ძალიან განიცდის.

გია: შენ წარმოიდგინე, რომ ამბობენ, ტრიბუნებიდან ფეხბურთი სხვანაირად ჩანსო, არ ყოფილა მართალი. მე ისეთივე განცდები მეუფლება ტრიბუნებზე, როგორიც მოედანზე — აი, ეკრანზე სულ სხვა საქმეა... ჩემი ნება რომ იყოს, არიგო საკის მწვრთნელობას ავუკრძალავდი. მაგრამ ჯერ არა... საკის გუნდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი ჰქონია, რომ დავფიქრდი, ჩვენ ასე გვიჯობს, თუ 9 ოქტომბერს ჩვენს ბიჭებს ეს იტალიის ნაკრები ეთამაშა, მაშინ მოგება წამოგვიღია. ქართველებს გამოცდილება გვაკლია, თორემა კარგი ბიჭები გვყავს. მოკლედ, საკის 10 ოქტომბრიდან გავანთავისუფლებდი... ჩვენთან კი მგონი დადგა დრო, ხელი შეუწყონ სპორტს და განსაკუთრებით ფეხბურთს. მარტო ერთი კაცი ამ საქმეს ვერ გასწვდება. არა მგონია, საქართველოს ნებისმიერ ქალაქში არ არსებობდეს 2-3 ფირმა ან კერძო პირი, ვისაც შესწევს უნარი დაეხმაროს ქართულ ფეხბურთს. ჩვენ გვაქვს შანსი მსოფლიო-98-ზე მოვხვდეთ. ოღონდ, ქართულ ფეხბურთს ყველა უნდა დავეხმაროთ...

... თურმე ასეთია ცხოვრება. ერთხელ თუ შეიყვარე ფეხბურთი, სამუდამოდ დაგაავადებს. უცნაურია. ალბათ ისეთივე უცნაური, როგორც ფეხბურთელის ბედი. გიამ ოჯახი 87 წელს შექმნა. ალიოშა კოტრიკაძემ გია ჯიშკარიანი საკუთარ ქორწილში შეკრებიდან ერთი დღით ადრე გაუშვა, ქორწილის მეორე დღეს გია უკვე ვარჯიშზე იყო...

**თამუნა ჯიშკარიანი**




გია ჯიშკარიანი, გია გურული და მოტოციკლეტი

# დაუჯერეთ ბობი ჩარლტონს!



**ელგუჯა ბერიშვილი**
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

„სპორტულ ჟურნალისტებს, სულ ერთია, მიმომხილველები იქნებიან ისინი თუ განმიქიქებელნი, საგაზეთო გვერდის გამძღოლები თუ მთხრობელნი, ეამაყებათ, რომ შეუძლიათ იყვნენ როგორც ჭეშმარიტი რეალისტები, ასევე თავგამოდებული იდეალისტები. ჟურნალისტები, თავიანთი უაღრესად მნიშვნელოვანი მისიის კვალობაზე, ყოველდღიურად ასახავენ სპორტული სამყაროს ფიქრებს, იმედებს თუ იმედგაცრუებას."

პარიზი. 1924 წლის 1-3 ივლისი. სპორტული პრესის პირველი საერთაშორისო კონგრესის რეზოლუციიდან.

სწორედ 1924 წელს დაფუძნდა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია — AIPS.

სწორედ ამიტომ გამოცხადდა 2 ივლისი სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო დღედ.

სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით გვესაუბრა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, AIPS-ის კოორდინატორი ელგუჯა ბერიშვილი.

—მოდით, უწინარესად ის გავარკვიოთ, ვინ შეიძლება ჩაითვალოს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტად. საყოველთაოდ აღიარებული წესის თანახმად, სპორტულ ჟურნალისტებად იმათ მოიხსენიებენ, ვისი შემოსავლების არანაკლებ 70 პროცენტი სწორედ ჟურნალისტურ საქმიანობაზე მოდის. სპორტული ჟურნალისტის სტატუსის ამგვარ განმარტებას გვაძლევს AIPS-ი — ყველაზე ხანდაზმული ჟურნალისტური ორგანიზაცია. ცხადია, AIPS-ის წევრმა ეროვნულმა ასოციაციებმა ამ კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელონ. სპორტზე უამრავი ადამიანი წერს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მათ სპორტულ ჟურნალისტად ასაღიარებლად. 2 ივლისი იმათი დღეა, ვისი ცხოვრების უმთავრესი საქმე სპორტული ჟურნალისტიკაა.

**ქართულ პრესაში სპორტული თემატიკა XIX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. იმდროინდელი და გვიანდელი გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ სპორტული ცხოვრების ამსახველ წერილებს, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ ფიზიკურ კულტურას. ამ საქმეში საგანგებო კვალი დატოვა დემოკრატიული საქართველოს სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენის" პერიოდულმა გამოცემამ. მერე იწყება სპორტული საქართველოს და სპორტული პრესის საბჭოური პერიოდი. 1934 წლის 13 აპრილს გამოვიდა გაზეთ „საქართველოს ფიზკულტურელის" პირველი ნომერი, რომელმაც მოგვიანებით „ფიზკულტურელად" იწოდებოდა და 1939 წლის თებერვლამდე იარსება. 1949 წლის 10 ივლისს მკითხველმა მიიღო გაზეთ „ლელოს" პირველი ნომერი. „ლელო" მიხეილ კაკაბაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დააარსეს და სახალხო გაზეთად აქციეს.**

— მიხეილ კაკაბაძის და მისი გუნდის მრავალწლიანი მოღვაწეობა უაღრესად მნიშვნელოვანი და უნიკალურია. „ლელო", საძირკველია იმ შენობისა, რომელსაც თანამედროვე ქართული სპორტული პრეს ჰქვია. ჩვენმა თაობამ უნდა იამაყოს, რომ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიას არაერთი ღირსეული პიროვნებისა და პროფესიონალის სახელი ამშვენებს. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ 1993 წელს დააწესა მიხეილ კაკაბაძის პრემია, რომელსაც უკვე ოთხი ლაურეატი ჰყავს — ნოდარ გუგუშვილი, როდიონ ქორქია, არჩილ გოგელია და ალექსანდრე კოტორაშვილი. 1994 წელს საზეიმოდ აღინიშნა „ლელოს" 60 და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის 35 წლისთავი. ამით, უწინარესად, პატივი მივაგეთ იმ ადამიანებს, ვისი ამაგიც მართლაც რომ აუწონელია.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი ორგანიზაცია, 1991 წლის 19 აპრილს ჩამოყალიბდა და არის მემკვიდრე 1959 წლიდან არსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა. 1992 წლის 30 აპრილს სსჟა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანდა. ეს მოხდა ბუდაპეშტში, AIPS-ის 55-ე კონგრესზე. 1992 წლის აპრილი ახალი ეტაპის ათვლის წერტილია — სსჟა გახდა პირველი ქართული ჟურნალისტური ორგანიზაცია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მიიღო. იქიდან მოყოლებული, ჩვენი დელეგატები სისტემატურად მონაწილეობენ AIPS-ის კონგრესის მუშაობაში და ჟურნალისტთა სხვა თავყრილობებში. ფართოვდება კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნების ჟურნალისტურ ორგანიზაციებთან, უცხოელ კოლეგებთან. [illegible] ივნისში თბილისში გვესტუმრა AIPS-ის პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი.**

— დღეისათვის AIPS-ი 125 ქვეყნის 35 ათასამდე ჟურნალისტს აერთიანებს. ეს სპორტულ სამყაროში უაღრესად ავტორიტეტული და აღიარებული ორგანიზაციაა, რომლის უმთავრესი საზრუნავია მსოფლიოს სპორტულ ჟურნალისტთა თავმოყრა, მათი ინტერესების და უფლებების დაცვა. ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო AIPS-ის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, შეხვედრები, რომლებიც თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში შედგა. როგორც ჩანს, ბაიათლიც კმაყოფილი დარჩა და ეს განწყობილება არაერთხელ გამოხატა — მათ შორის, მალაიზიაში გამართულ AIPS-ის კონგრესის ტრიბუნიდან. AIPS-ის ხელმძღვანელთა კეთილგანწყობა საჭირო რამ გახლავთ; ჩვენთვის დიდი პატივია, რომ სწორედ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას დაევალა AIPS-ის კოორდინატორობა კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენმა საქმიანობამ ყურადღება დაიმსახურა. ატლანტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, შემოდგომაზე, თბილისში სემინარზე მოვიწვევთ სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს — ჩვენს კოლეგებს. ამისთვის AIPS-მა უკვე გამოჰყო სახსრები.

**დღეისათვის AIPS-ის ინდივიდუალური წევრის მოწმობას საქართველოს 25 სპორტული ჟურნალისტი ფლობს, სსჟა 97 პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტს აერთიანებს. საქართველოში სხვადასხვა პერიოდულობით და ტირაჟით 8 სპორტული გაზეთი და 2 ჟურნალი გამოიცემა, ყველა ტელეარხს და კომპანიას, რადიოს აქვს რეგულარული სპორტული გადაცემები.**

— იყო დრო, „ლელოს" ტირაჟი 300 ათასს აღწევდა. ეს ძალზე მაღალი მაჩვენებელი იყო ხუთმილიონიანი რესპუბლიკისთვის. დღეს, მართალია, ამდენი სპორტული გაზეთი გამოდის, მაგრამ მათი საერთო ტირაჟიც კი შეუდარებლად ნაკლებია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გაზეთს მკითხველთან მისვლა უჭირს, უფრო სწორად — მკითხველს გაზეთთან. პოტენციური მკითხველის ჯიბე, სამწუხაროდ, ზოგჯერ პურსაც ვერ აუდის და როცა არჩევანის წინაშე დგას, იძულებულია გაზეთს პური აჯობინოს. ალბათ, შეგიმჩნევიათ საგაზეთო ჯიხურთან თავმოყრილი ხალხი. დგანან, კითხულობენ, მაგრამ ვერ ყიდულობენ. ასეთია ჩვენი ცხოვრების რეალობა. არადა, გაზეთი მკითხველისთვის და მკითხველის იმედად არსებობს; გაზეთის კეთილდღეობა მკითხველის ჯიბეზეა დამოკიდებული. ცუდია, როცა ეს პრინციპი ირღვევა და რედაქცია იძულებულია სხვა საარსებო წყარო ეძებოს, რათა გაზეთი შეინარჩუნოს და ხალხს ინფორმაცია მიაწოდოს. „სხვა წყარო" ფულს ჰაიჰარად არ იძლევა — თავისი კონკრეტული ინტერესი აქვს, რომელიც იშვიათად თუ ემთხვევა გაზეთის, მკითხველის და სპორტის ინტერესებს. ალბათ, საქართველოშიც დადგება დრო, როცა გაზეთს მკითხველთან შუამავალი არ დასჭირდება. ამის ნიშნები უკვე ჩანს. არის საქართველოში ერთი (ერთადერთი) გაზეთი, რომელსაც ალალად ნაშოვნი ფულით შეუძლია, მაგალითად, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე, ოთხი ჟურნალისტი მიავლინოს და მკითხველთან ნამუსიანად წარდგეს.

**ბობი ჩარლტონის სიტყვებია: „არ არსებობს სპორტული ჟურნალისტიკა სპორტის გარეშე. ვერც სპორტი იარსებებს სპორტულ ჟურნალისტთა გარეშე". ვფიქრობთ, აქ არაფერია საკამათო. ოღონდ ეგ არის, ამ ჭეშმარიტებას ყველა როდი აღიარებს, მათ შორის ის ხალხი, ვინც სპორტშია დასაქმებული და ვისი მოღვაწეობაც სპორტულ ჟურნალისტთა, მაშასადამე — მკითხველთა ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია.**

— ერთხელ მირეკავენ და მეუბნებიან. ესა და ეს გუნდი ამა და ამ საათზე ჩამოფრინდება, აბა, თქვენ იცით, ჟურნალისტთა მობილიზაცია გამოაცხადეთ და აეროპორტში დახვდითო. კი ბატონო, დავხვდებით, ინტერვიუს ჩამოვართმევთ, ფოტოებსაც გადავიღებთ, ფირზეც ალვბეჭდავთ, მაგრამ როცა ეს გუნდი უცხოეთში შეჯიბრებაზე მიფრინავდა, ჟურნალისტი რატომ მაშინ არავის გახსენებია? რატომ ვერ გამოინახა ჟურნალისტისთვის თუნდაც ერთი ადგილი იმ ოცდაათკაციან დელეგ[illegible] კითხვა სხვაც ბევრია, სპორტულ [illegible]სტთა და სპორტის მოღვაწეთა, ს[illegible]ფო მოხელეთა ურთიერთდამოკიდებულება. მართლაც მტკივნეული თემაა, ბევრი რამ გასარკვევია და დასაკონკრეტებელია. ამას, ალბათ, სხვა დროს მივუბრუნდებით.

დღეს კი... დღეს სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო დღეა. მოგილოცავთ, კოლეგებო!

# ავტორბოლა

**საფრანგეთის „დიდი პრიზი" „რენოს" ძრავიანი გუნდების აბსოლუტური გამარჯვებით დასრულდა.**



# რენოელთა ბენეფისი

## ვარჯიში

პარასკევს, ვარჯიშზე, ყველაზე სწრაფი ოლივიე პანი იყო, რომლის გუნდისთვის მანი-კური შინაური ტრასაა.

შაბათს დილის ვარჯიში მოღრუბლულ ამინდში, სველ ტრასაზე ჩატარდა. სანვიმარი საბურავებით პირველ პოზიციაზე რიგ-რიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს შუმახერი, ჰილი, ირვინი, ალეზი. შემდეგ ტრასა შეშრა და პილოტებმაც „სლიქებით" გააგრძელეს მოთელვა. თავიდან ჰილმა იმარჯვა, შემდეგ იგი ჯერ ალეზიმ, მერე ბარიჩელომ შეცვალა. მალე ისევ განვიმდა და ბრაზილიელის შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. მეორე-მესამე ადგილებზე ჰაკინენი და ბრანდლი აღმოჩნდნენ. შუმახერი მეხუთე იყო, ხოლო „უილიამსის" პილოტები XIII-XIV ადგილებს დასჯერდნენ.

## კვალიფიკაცია

კვლავ გამოიდარა. თავიდან ჰაკინენი, ბრანდლი, ბარიჩელო, ალეზი ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას, შემდეგ მათ ჰილიც შეუერთდა, მაგრამ მალე ტრასაზე მსოფლიო ჩემპიონი შუმახერი გამოჩნდა და პირველობაც არავის დაუთმო.

ვილნევი მხოლოდ მეექვსე ადგილზე იყო და შედეგის გაუმჯობესებას ცდილობდა, მაგრამ „ეშტორილის" მოსახვევში დასაშვებზე სწრაფად შევიდა, ტრასიდან გადავიდა, საბურავების ბარიერს შეეჯახა, ისევ ტრასაზე გამოვარდა და გაჩერდა. სწორედ ამ დროს მოსახვევს კულჰარდი გადიოდა და სასწაულებრივ მოახერხა შუა გზაში გაჩხერილი „უილიამსის" ნამსხვრევებისთვის გვერდის ავლა.

კვალიფიკაციის შემდეგ ბრიტანელმა განაცხადა, რომ ამ დროს დიდი სისწრაფით მიდიოდა და საკმაოდაც შეშინდა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. სესია კარგა ხნით შეწყდა. განახლების შემდეგ პილოტთა განლაგებაში თითქმის არაფერი შეცვლილა და კვირის სტარტისთვის შემდეგი მიმდევრობა დამტკიცდა: შუმახერი (ფერარი) 1.15.989; ჰილი (უილიამს-რენო) 1.16,058; ალეზი (ბენეტონ-რენო) 1.16,310; ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.16,592; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.16,634; ვილნევი (უილიამს-რენო) 1.16,916; კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1.17,007; ბრანდლი (ჯორდან-პეჟო) 1.17,187; პანი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) 1.17,390; ირვინი (ფერარი) 1.17,443; ბარიჩელო (ჯორდან-პეჟო) 1.17,665; დინიცი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) 1.17,676; ფრენცენი (ზაუბერ-ფორდი) 1.17,739; სალო (ტირელ-იამაჰა) 1.18,021; კატაიამა (ტირელ-იამაჰა) 1.18,242; ვერსტაპენი (ეროუზ-ჰართი) 1.18,324; ჰერბერტი (ზაუბერ-ფორდი) 1.18,551; ფისიჩელა (მინარდი-ფორდი) 1.18,604; ლამი (მინარდი-ფირდი) 1.19,210; როსეტი (ეროუზ-ჰართი) 1.19,242; ბადოერი (ფორტი-ფორდი) 1.20,568; მონტერმინი (ფორტი-ფორდი) 1.20,647

კვალიფიკაციის შემდეგ, ტექნიკური შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ირვინის ბოლიდი ტექნიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც ირლანდიელის შედეგი გაუქმდა და მას სასტარტო პოზიციის ბოლოში მიეჩინა ადგილი.

პირველი ექვსეულის პილოტები ინტერვიუებში არ მალავდნენ კმაყოფილებას; შუმახერმა თქვა, არ მჯეროდა, თუ პარასკევის ვარჯიშზე საკმაოდ ცუდი შედეგების შემდეგ პოულის მოპოვებას მაინც „შევძლებდიო.

ალეზიმ განაცხადა, მეორე რიგიდან სტარტის აღება ძალიან კარგია; რბოლა საინტერესო იქნება, ფერარის, უილიამსის, ბენეტონისა და მაკლარენის პილოტები ალბათ გამარჯვებისათვის იბრძოლებენო.

ჰაკინენმა იბრძანა, ამ ეტაპის წინ ტესტები ინგლისში ჩავატარეთ, ბოლო მომენტში ზოგი რამ შევცვალეთ და სისწრაფემაც იმატა; რბოლისას მანქანა კიდევ უფრო უკეთესი იქნებაო.

ვილნევმა შენიშნა, ნაავარიებს სათადარიგო ბოლიდით მომიწია ასპარეზობა, რომლის ძრავაც ნაკლებად ძლიერი იყო და შედეგის გაუმჯობესება ველარ მოვახერხე, მაგრამ რბოლაში ალბათ ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო.

ბრანდლმა წლევანდელ სეზონში, კვალიფიკაციაში პირველად აჯობა თანაგუნდელ ბარიჩელოს და კმაყოფილებით განაცხადა, რომ მისი ბოლიდი ბოლოსდაბოლოს საუკეთესოდაა გამართული, ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა და მას ასპარეზობისას მანქანასთან ბრძოლა აღარ უწევს. მისგან განსხვავებით ახალგაზრდა ბრაზილიელი სხვადასხვა გადასაჭრელ პრობლემაზე საუბრობდა და იმედს გამოთქვამდა, რომ რბოლისათვის ბოლიდის უკეთ მომზადება მოხერხდებოდა.

## რბოლა

კვირას, ვარჯიშზე, საუკეთესო დრო ვილნევმა აჩვენა; შუმახერი მეხუთე იყო, ხოლო ჰილმა ერთ-ერთ მოსახვევში ფრენცენის „ზაუბერს" წინა ბორბალი მოწყვიტა და ამიტომ ადრე შეწყვიტა მოთელვა.

სტარტი კვლავ სიურპრიზით აღინიშნა. ის იყო, პილოტები გასახურებელ წრეს შეუდგნენ, რომ შუმახერის „ფერარიმ" კვამლი აუშვა და მსოფლიოს ჩემპიონი რბოლას გამოეთიშა.

მთავარი კონკურენტის გარეშე დარჩენილმა ჰილმა სტარტი საუკეთესოდ აიღო და მალე მოწყდა კიდეც მდევრებს. მეორე წრეზე მონტერმინიმ და ფისიჩელამ მაყურებლებში გადაინაცვლეს, მეხუთე წრის ბოლოს კი ირვინი გადაცემათა კოლოფის კაპრიზის გამო ბოქსებში შევიდა და „ფერარის" გუნდისთვის რბოლაც დასრულდა.

12 წრის შემდეგ ჰილი მეორე ადგილზე მყოფ ალეზის 6,633 წამს უგებდა, ხოლო მისი თანაგუნდელი ვილნევი კი მესამეზე მყოფ ჰაკინენს არ ასვენებდა და გაუსწრო კიდეც, ბოქსებში ლიდერის შესვლისას კი პირველობაც იგდო ხელთ და რამდენიმე სწრაფი წრეც გაიარა, მაგრამ მალე მასაც მოუწია საბურავების შეცვლა და ტრასაზე ალეზის უკან დაბრუნდა, მალე ნამოენია და „ეშტორილის" ბოლოში კიდეც გაუსწრო.

ამ დროს ყოფილი თანაგუნდელები ბრანდლი და პანისი მეშვიდე ადგილს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ფრანგი ბრიტზე ბევრად უფრო სწრაფი იყო, მაგრამ გამოცდილი ბრანდლი კარგა ხანს გაუმკლავდა მეტოქეს, ეს კი მალე ბოქსებში შევიდა (8,1 წამი), დაბურენბას შემდეგ მეცხრე ადგილზე, ბარიჩელოს უკან აღმოჩნდა, წრის რეკორდიც დაამყარა (1.18,712) და მარჯვენა მოსახვევში დამუხრუჭებისას შიგნიდან გაასწრო ბრაზილიელს. მეხუთეზე მყოფმა ბერგერმა ჰაკინენი ჩამოიტოვა და თანაგუნდელს ჩაუდგა კვალში.

მეორე ადგილზე მყოფი ვილნევი თანდათან ამცირებდა სხვაობას ლიდერთან და მალე წრეზე საუკეთესო დროც აჩვენა — 1.18,610, მაგრამ ჩამორჩენილთა გასწრებისას კვლავ შეფერხდა და ჰილმა მეორე პიტ-სტოპის შემდეგაც შეინარჩუნა პირველობა.

ამასობაში პანი კულჰარდს წამოეწია, ერთ-ერთ მოსახვევში ძალისმიერი ილეთით გაასწრო და მცირე ხნით მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. ფინიშამდე 11 წრე რომ რჩებოდა, ქულების მომტან ექვსეულში სამი გუნდის — „უილიამსის", „ბენეტონისა" და „მაკლარენის" პილოტები იყვნენ. რბოლაც ასეთი მიმდევრობით დაასრულეს, თან შიდა გუნდური სუბორდინაციაც არ დაურღვევიათ: გუნდის პირველი პილოტები უკეთეს პოზიციაზე აღმოჩნდნენ.

ფრანგების გასახარად ასპარეზობა „რენოს" ძრავების ტრიუმფით გამოირჩა — „რენოთი" აღჭურვილმა „უილიამსისა" და „ბენეტონის" პილოტებმა პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ მალე ამ გუნდებს ახალი ძრავების მოძებნა მოუწევთ — ერთი წლის შემდეგ „რენო" ფორმულა-1-ის მიტოვებას აპირებს.

მშვენივრად იასპარეზეს „მაკლარენის" წარმომადგენლებმაც. მათი შედეგები თანდათან სტაბილური ხდება და ისეთი შეძლების გუნდისთვის, „მაკლარენ-მერსედესი" რომაა, სტაბილურობიდან გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯია.

სუსტად ირბოლეს „ჯორდანისა" და „ზაუბერის" პილოტებმა. ეტყობა, მათს გუნდებს შასის გასაუმჯობესებლად დიდი მუშაობა მოუწევთ.

## ნარბოლევს

ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე პრიზიორთა სამეული — ჰილი, ვილნევი და ალეზი წარსდგა. ჰილმა თავიდან თქვა, რომ გაეხარდა შუმახერის რბოლიდან გამოთიშვა, მერე კი შეასწორა, სასიმოვნო მოულოდნელობა იყოო; თანაც დასძინა, რომ მთელი რბოლის განმავლობაში პრობლემა არა ჰქონია და მოხარულია, რომ ვილნევთან ერთად პირველ-მეორე ადგილები გაიყო, ორივემ კი ალეზისთან ერთად „რენოს" პირველი სამი ადგილი მოუპოვეს.

მომღიმარე ვილნევმა აღნიშნა, რომ შაბათის ავარიის შემდეგ მეორე ადგილის მოპოვება მშვენიერი შედეგია და ეს მისი მექანიკოსების დიდი დამსახურებაცაა.

ალეზიმ განაცხადა, სასიხარულოა მშობლიურ კედლებში პოდიუმზე ასვლაო; თანაც რბოლა მისი გუნდისთვის საუკეთესო შედეგით დამთავრებულა.

შემდეგი ეტაპი — ბრიტანეთის დიდი პრიზი ორი კვირის შემდეგ სილვერსთოუნზე გათამაშდება.

**ალეკო ჭაბუკიანი**

### ფორმულა 1

IX ეტაპი
საფრანგეთის გრან-პრი

30 ივნისი.
ნევერი, „მანი-კური"

ტრასის სიგრძე 4 250 მ; დისტანცია 72 წრე — 306,0 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ჰილი | უილიამს-რენო (190,183 კმ-სთ) | 1:38.28,795 10 ქულა |
| 2. | ვილნევი | უილიამს-რენო | + 8,137 6 ქულა |
| 3. | ალეზი | ბენეტონ-რენო | + 46,420 4 ქულა |
| 4. | ბერგერი | ბენეტონ-რენო | + 46,859 3 ქულა |
| 5. | ჰაკინენი | მაკლარენ-მერს. | + 1.02,774 2 ქულა |
| 6. | კულჰარდი | მაკლარენ-მერს. | + 1 წრე |
| 7. | პანისი | ლიჟიე-მუგენ-ჰონდა | 1 წრე |
| 8. | ბრანდლი | ჯორდან-პეჟო | 1 წრე |
| 9. | ბარიჩელო | ჯორდან-პეჟო | 1 წრე |
| 10. | სალო | ტირელ-იამაჰა | 2 წრე |
| 11. | ჰერბერტი | ზაუბერ-ფორდი | 2 წრე |
| 12. | როსეტი | ეროუზ-ჰართი | 3 წრე |
| 13. | ლამი | მინარდი-ფორდი | 3 წრე |

საუკეთესო წრე: ვილნევი 1.18,610 (194,631 კმ-სთ) — 48-ე წრე

| რბოლას გამოეთიშნენ | | (წრეზე) |
|---|---|---|
| შუმახერი | ფერარი | 0 |
| მონტერმინი | ფორტი-ფორდი | 2 |
| ფისიჩელა | მინარდი-ფორდი | 2 |
| ირვინი | ფერარი | 2 |
| ვერსტაპენი | ეროუზ-ჰართი | 10 |
| დინიცი | ლიჟიე-მუგენ-ჰონდა | 28 |
| ბადოერი | ფორტი-ფორდი | 29 |
| კატაიამა | ტირელ-იამაჰა | 33 |
| ფრენცენი | ზაუბერ-ფორდი | 56 |

**პირადი პირველობა**

ჰილი 63 ქულა; ვილნევი 32; შუმახერი 26; ალეზი 25; კულჰარდი 14; ჰაკინენი 12; პანი 11; ბერგერი 10; ირვინი 9; ბარიჩელო 7; ფრენცენი 6; სალო 5; ჰერბერტი 4; ბრანდლი 2; ვერსტაპენი და დინიცი 1

**გუნდური პირველობა**

უილიამს-რენო 101 ქულა; ფერარი და ბენეტონ-რენო 35; მაკლარენი 26; ლიჟიე-მუგენ-ჰონდა 12; ზაუბერ-ფორდი 10; ჯორდან-პეჟო 9; ტირელ-იამაჰა 5; ეროუზ-ჰართი 1

# ველორბოლა

## ჩიპოლინი დისკვალიფიცირებულია

[illegible] 1954 წელს მომხდარა, როცა მრბოლები გზას ამსტერდამში შეუდგნენ. ტურის დირექტორ ჟან-მარი ლებლონკის ცნობით, გადასაწყვეტი ისღაა, 1998 წლის შეჯიბრი დუბლინში (ირლანდია) დაიწყონ თუ ლიეჟში (ბელგია). ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე საფრანგეთის შინაური ტური ლამის ევროპის თანა-მეგობრობის შემოვლად იქცევა.

წლევანდელი ტური შაბათს პოლანდიაში დაიწყო, გუშინ ბელგიაში გადავიდა, მერე კი საფრანგეთიდან იტალიასა და ესპანეთშიც შეუხვევს.

კვირის პირველი, 209-კილომეტრიანი ეტაპი პროლოგის ადგილზე — დენ-ბოსხში დაიწყო და იქვე დამთავრდა. ერთობ მოღრუბლული იყო და სუნთქვა ჭირდა. ბევრი კარგი მრბოლი დაეცა და დაშავდა. შეჯიბრს გამოაკლდნენ კოლუმბიელი ერნან ბუენორა და უზბეკი ჯამოლდინ აბდუჯაფაროვი.

ფინიშამდე 20 კილომეტრი რომ რჩებოდა, პოლანდიელმა დანი ნელისონმა გაქცევა სცადა, მაგრამ 15 კილომეტრის შემდეგ ჯგრომ ჩაყლაპა. ფინიშზე სპრინტი გაიმართა. ეგონათ, იტალიელ მარიო ჩიპოლინის ვერავინ აჯობებსო, მაგრამ მას გადაუსწრეს ფრანგმა ფრედრიკ მონკასენმა და პოლანდიელმა იერონ ბლაილევენსმა. იტალიელმა მიზანს მესამემ მიაღწია, მაგრამ მერე გზის შეკვრისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს.

პროლოგის შემდეგ დაწინაურებული შვეიცარიელი ალექს ცულე (ონსე) ლიანგში, მე-19 მივიდა ფინიშთან. იგი კვლავ ლიდერობს — 5 საათი, 10 წუთი და 54 წამი. მას 3 წამით ჩამორჩება რუსი ევგენი ბერზინი (გევისი), 7 წამით — ესპანელი აბრამ ოლანო (მაპეი), 9 წამით — მონკასენი, 11-ით — დანიელი ბიარნე რიისი (ტელეკომი), 12-ით — უპირველესი ფავორიტი, ესპანელი მიგელ ინდურაინი (ბანესტო), წელს ზედიზედ მეექვსედ რომ სურს გამარჯვება. მსოფლიო კლასიფიკაციით პირველი მრბოლი ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) ლიდერს 15 წამით ჩამორჩება, ბრიტანელი ქრის ბორდმენი (განი) — 17 წამით, შვეიცარიელი თონი რომინგერი (მაპეი) კი — 19-ით.

**ვასილ გუჩმაზაშვილი**

# კრივი

## ეს ვინდაა?

პროფესიულ კრივს მსოფლიო ჩემპიონებს რა გამოულევს.

ბრიტანელი ზანგი ჰენრი აკინვანდე გახდა კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) მძიმეწონოსანი ჩემპიონი. მან კვირას, კალიფორნიაში, მესამე რაუნდის 43-ე წამზე დაამარცხა ამერიკელი ჯერემი ვილიამსი. აკინვანდემდე ტიტული ეპყრა ამერიკელ რიდიკ ბოუს, მაგრამ ნებაყოფლობით აილო ხელი. ამჟამად ბრიტანელის კოლეგა სამი ამერიკელია: მაიქლ ტაისონი საბჭოს (ვბკ) ჩემპიონია, ბრუს სელდონი — ასოციაციისა (ვბა), მაიქლ მორერი კი — ფედერაციისა (იბფ).

**ვალერი ჯიქია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ისევ სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი [illegible]ქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29


# ვარსკვლავი



## დიდი ფორვარდი უმუშევარია

ყინულის ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) უპირველესი ბომბარდირი, 35 წლის ვეინ გრეცკი გუშინდლიდან თავისუფალი აგენტია. ამ, მარად 99 ნომერს, აქამდე სამად-სამ კლუბში უთამაშია: „ედმონტონ ოილერზში" (მენავთობეებში), „ლოს-ანჯელეს კინგზში" (მეფეებში) და „სენთ-ლუის ბლუზში" (ერთდროულად ლურჯებ[illegible]ა და ბლუზ-ჯაზში). სენთ-ლუისში გრეცკი ერთ სეზონზე ნაკლები დაჰყო, ივნისის ბოლოს კი იქაურებს უარი სტკიცა კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებაზე.

**თენგიზ არტამონოვი**

# მძლეოსნობა




პარასკევ საღამოს დიდი შეჯიბრი გაიმართა პარიზში, შარლეტის სტადიონზე. აღინუსხა ბევრი გადასარევი შედეგი.

ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ 1 500 მეტრი 3.29,5-ში გაირბინა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია (სსშ). მასპინძელმა ზანგმა ქალმა მარი-ჟოზე პერეკმა 49,47 წამში დაფარა 400 მეტრი (სსშ). 400 მეტრზე ქალთა თარჯრბენი ასევე სსშ-ით მოიგო ამერიკელმა თონია ბუფორდმა. ფრანკი ფრედრიქსმა (ნამიბია) 200 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა (19,95), 100 მეტრზე კი ერთმა კანადელმა ბრუნი სურინმა (10,04) აჯობა მეორეს — მსოფლიო ჩემპიონ დონოვან ბეილის. ოლიმპიური ჩემპიონი ლინფორდ ქრისთი (ბრიტანეთი) მესამე ადგილზე გავიდა (10,06) და გუშინლა თქვა, რომ ატლანტაში აუცილებლად ირბენს.

ავსტრალიელმა გოგო ემა ჯორჯმა შაბათს, საფრანგეთში, თავისივე მსოფლიო რეკორდი ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა: ჭოკით 442-ზე ახტა.

# ფრენბურთი

## ჰოლანდია ფრენბურთშიც ძლიერია



როტერდამში დასრულდა მსოფლიო ლიგის ფინალი. პირველი ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იტალია და ბოლო მსოფლიო პირველობის ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია.

აღსანიშნავია, რომ ფინალამდე ეს გუნდები 5-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და 4-ჯერ იტალიელებმა იმარჯვეს. ისინი მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ ჰოლანდიელებთან — ჯგუფურ ტურნირში, ისიც მაშინ, როცა პირველი ადგილი უკვე გაენაღდებინათ და შედეგს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამიტომ ფავორიტებად ახლაც იტალია მიიჩნეოდა.

პროგნოზი არ გამართლდა. ჰოლანდიელებმა, რომელთა რიგებში ვეტერან ზვერფერთან ერთად გამოირჩეოდნენ მსოფლიო ფრენბურთის ახალი ვარსკვლავები: ვან დე გოორი და ვან დერ მიულენი, დიდი ბრძოლა გაუმართეს იტალიელ ვარსკვლავთა ნაკრებს (ტოფოლი, ძორძი, ბერნარდი, გრაიინა, ბრაჩი, ჯანი) და სამსაათნახევრიან მატჩში მეხუთე ხელშიღა დაამარცხეს. ეს მსოფლიო სარბიელზე ჰოლანდიის პირველი დიდი გამარჯვებაა.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში რუსეთმა, რომელმაც ფინალური ტურნირი უხეიროდ დაიწყო, დაამარცხა კუბა.

**კოტე მგალობლიშვილი**

**ჯგუფური ტურნირი**

| | მ | წ | ხელი |
|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 1 | 12:6 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 13:7 |
| კუბა | 2 | 3 | 9:11 |
| რუსეთი | 2 | 3 | 6:11 |
| ბრაზილია | 2 | 3 | 10:[illegible] |
| ჩინეთი | 1 | 4 | [illegible]:12 |

I ადგილისთვის: ჰოლანდია — იტალია 3:2
III ადგილისთვის: რუსეთი — კუბა 3:2